

The Srtistic Range of "Dancing Snake"

„მოცეკვავე გველის“ მხატვრული დიაპაზონი

Ketevan Elashvili

TSU Shota Rustaveli institute of Georgian Literature
(Georgia)

ქეთევან ელაშვილი

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(საქართველო)

Abstract:

The artistic range of a literary work is mainly crossed by the symbolic spectrum. It is due to the universal essence of the symbol that the boundary between the authors of completely different epochs or cultures disappears and a kind of character tandem is created. A vivid illustration of this is the unforgettable dance of the snake in the artistic thinking of Charles Baudelaire (1821-1867) and Anna Kalandadze (1924-2008).

The snake is perceived as a mystical zoomorphic symbol in heterogeneous aspects and therefore – creates a different artistic range. The "biblical biography" of the snake traverses the eternal footpath of evil or goodness and therefore captures the creative imagination.

The "dancing snake" with Charles Baudelaire is Jeanne DuVall's double, an unusual literary symbol with mystical eroticism. As a precondition for all this, we can consider Baudelaire's fateful affair with Jeanne Duvall.

Thus arose in "Flowers of Evil" a "dancing snake" paired with the author's muse, which accurately expresses the unusualness of Baudelaire's creative vision; Baudelaire, like no one else, could see a grain of goodness tainted with iniquity, possess a sense of beauty in extreme ugliness. All this ambiguity of feelings is best expressed in the symbolism of the serpent.

With Ana Kalandadze, "Snake Dance" creates a completely different artistic range. Probably this is why the author (1946) originally published the snake dance without a title and only later – in the 2004 edition it was called "The Serpent Prays". It is conceivable that the length of the years

revealed the mystery of prayer in the ritual dance, which somehow created the independent symbolic link – the infinity of mysteries.

These literary illustrations outline the snake's universal range in artistic thinking and creates some kind of esoteric labyrinth.

Keywords: Symbol, Charles Baudelaire, Anna Kalandadze, The "dancing snake"

საკვანძო სიტყვები: სიმბოლო, შარლ ბოდლერი, ანა კალანდაძე, „მოცეკვავე გველი“

ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული დიაპაზონი ძირითადად სიმბოლოლოგიური სპექტრით იკვეთება. სწორედ სიმბოლოს უნივერსალური ფენომენის გათვალისწინებით ქრება ეპოქალური თუ ეთნოკულტურული ზღვარი სრულიად განსხვავებულ ავტორთა შორის და იქმნება ერთგვარი სახისმეტყველებითი ტანდემი. ამის ლიტერატურული ილუსტრაციაა გველის თავდავიწყებული „როკვა“ შარლ ბოდლერისა თუ ანა კალანდაძის მხატვრულ აზროვნებაში. აქვე უთუოდ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ გველი, ეს ფრიად უნივერსალური სიმბოლო, არაერთგვაროვანი აქცენტებით შეიცნობა.

„გველი ადამიანის მარადიული, მისტიკური და იდუმალი მეზობელი – ცხოველთა სიმბოლოთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალსახოვანია: ეს ცივისსხლიანი, საშიში, შხამიანი არსება, რომელიც ესოდენი სიმარდით მოძრაობს, თუმცადა კიდურები არა აქვს; რომელსაც თავისზე უფრო დიდი მსხვერპლის გადაყლაპვა შეუძლია; რომელიც ყოველ გაზაფხულზე იცვლის თავის „პერანგს“ და ამგვარად „ახალგაზრდავდება“ – საბოლოო ჯამში, ერთი ყველაზე გავრცელებული ანიმალისტური სიმბოლოა და მისი გამოსახულება, როგორც მფარველისა თუ როგორც მტრის, თან სდევს ადამიანს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე... გველისადმი ადამიანის დამოკიდებულება, რომელიც მერყეობდა თაყვა-

ნისცემასა და ზიზღს შორის, რაღა თქმა უნდა, აისახა ამ ქვე-წარმავლის „მითოლოგიურ ბიოგრაფიში“: ის ხან „დიდ წინაპრად“ და „ფუძის ანგელოზადაა“ წარმოსახული, ხან ურჩხულად და ჩასაფრებულ, მზაკვარ მტრად“ (აბზიანიძე, ელაშვილი, 2011, გვ. 52).

არანაკლებად საინტერესოა გველის „ბიბლიური ბიოგრაფიაც“, რომელიც ბოროტებისა თუ სიკეთის მარადიულ საცალფეხო ბილიკს გაივლის და მთელი სიმძაფრით იპყრობს შემოქმედებით წარმოსახვას – მით უფრო, თუ ეს ვაჟა-ფშაველას მასშტაბის ფილოსოფიური ხედვის პოეტია.

„ვაჟა-ფშაველას „შემოქმედებითი მისტიკის“ ერთ-ერთი თავსატეხი მის „მითოლოგიურ ცნობიერებაშია (გრიგოლ რობაქიძისეული სახელდება) სამიებელი. ვაჟა-ფშაველამ შექმნა (ბუნებრივია, ქართულ მითებსა და თქმულებებზე დაყრდნობით) საკუთარი „პოეტური მითოლოგია“ და მითოსური სტერეოტიპების გამძაფრებითა თუ იდუმალების იმპულსობით მხატვრულ აზროვნებაში დანერგა „ფილოსოფიურ სახეთა მწერლობა“. ამიტომაცაა ლიტერატურული მითი თვისობრივად განსხვავებული ნებისმიერი, საწყისი, უძველესი მითისაგან: აქ პოეტური წარმოსახვის არეალში ყოველთვის იკვეთება სრულიად უჩვეულო და „არაპროგნოზირებადი“ ემოცია (ერთგვარი „მხატვრული ბურუსი“), რომელიც ავტორის უკვე მომდევნო მინიშნებებითა და ქვეტექსტებითაა განმარტებული. ისიც აღსანიშნავია, რომ თავად ეს განმარტება ამჯერად უკვე „განდობილთა“ რიცხვს მიკუთვნებულ მკითხველს გულისხმობს... აქვე ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ სიმბოლოლოგიური თვალსაწიერით ვაჟა-ფშაველას პოეტური პათოსი მეტად მისტიკურია. აქ სიმბოლო დინამიკური იდუმალებაა – სამყაროსეული კატაკლიზმებით დაქარაგმებული: ერთი შეხედვით, ის წარმოსახვათა უსასრულობაშია ჩაკარგული და მხოლოდ სახისმეტყველებითი ცნობიერებით იძენს „ლიტერატურულ სივრცეში“ აბსოლუტურ თავისთავადობას. და ამიტომაც, სიმბოლო საკუთარი „ქმნადობის“ მთელ სპექტრს გთავაზობს“ (ელაშვილი, 2014, გვ. 49).

სწორედ ამგვარი თავისუფალი ასოციაციური ხედვის არაორდინალური ნიმუშია პოემა „ბახტრიონის“ ეპილოგის „სახისმეტყველებითი ლაბირინთი“, – ბიბლიურ პირველსაწყისზე დაყვანილი გველის ამბივალენტური არსით, სადაც ის „ხეზე გაწოლითა“ თუ „ნისლისდაგვარობით“ იბრუნებს ცოდვით დაცემამდე არსებულ „ღვთაებრივ ვერტიკალს“ და შესატყვისად, უკვე ძალუმს „სიკეთის გზა დაიჭიროს“. ამავე კონტექსტში სავარაუდოდ ნიშანდობლივია ისიც, რომ გველი თავისი ზნითა თუ ცხოვრების წესით უბადლო ტრანსფორმაციის უნარს ფლობს და ალბათ ამიტომაც, გარდაისახება ის „ვირტუოზულ მოცეკვავედ“, რომლის ლიტერატურული ილუსტრაციები მხატვრული ეზოთერიზმის“ ბურუსში ახვევს მკითხველს.

შარლ ბოდლერთან „მოცეკვავე გველი“ – ჟანა დიუვალის პოეტური ორეული, სრულიად უჩვეულო ლიტერატურულ სიმბოლოს წარმოშობს – უფრო ღრმასა და პოლისემანტურს, ვიდრე მისი არქექტიპი ლილიტი. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ თავად პოეტი, ქალების მიმართ ყოველთვის უჩვეულო ხედვით გამოირჩეოდა, რაც ყველაზე ცხადად აისახა ჟანა დიუვალთან (ფრენსის კნაპისეული აღქმით – ის იყო „ბოდლერის იდუმალი მუზა...“) საკმაოდ ხანგრძლივ ურთიერთობაში. შესაბამისად, ამიტომაც არაერთგვაროვანია კრიტიკოსთა ინტერპრეტაციებიც ამ თემის მიმართ; ჟან-მიშელ ირტის მიხედვით – „ბოდლერი ზოგადად ეტრფოდა ქალს და ყველაფერს, რაშიც კი ქალური საწყისი გამოკრთებოდა“ (Hirt, 2005, p. 55-63); ერიხ ოიერბახს კი მიაჩნდა, რომ „პოეტი უბრალოდ ქალთა დაქვეითებულ სენსუალობის სურათს გვიხატავს, სადაც წინა პლანზე ქალისა და ცოდვის ურთიერთმიმართებაა გამოსახული“ (Auerbach, 2008, p. 6-74). ყოველივე ამის წინა პირობა კი – ბოდლერის ჟანა დიუვალთან „წინააღმდეგობრივ მიჯაჭვულობაშია“ საძიებელი, რომელიც ერთგვარ მოჯადოებულ წრეს წარმოშობს. ასე გაჩნდა „ბოროტების ყვავილებში“ (ქვეთავი – „სევდა და იდეალი“) „იდუმალ მუზასთან“ დაწყვილებული „მოცეკვავე გველი“, რომელიც ზედმიწევნით გამოსახავს თავად ავტორის შემოქმედებითი ხედვის არაორდინალურობას.

ერთი რამ კი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბოდლერი ფრიად უჩვეულო შემოქმედი იყო, რომელმაც ბიოგრაფიული პერიპეტებიით თუ სრულიად არაორდინალური მხატვრული მისტიკით შექმნა ახალი პოეტური „ენა“, რაც შემდგომში – სიმბოლიზმის წინაპირობადაც იქცა. მანვე ასოციაციური აზროვნება გაათავისუფლა სტერეოტიპული ჩარჩოებისაგან და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ინვერსიული

აქცენტებით მიიტანა მკითხველამდე. სწორედ ამ ფენომენმა გაფანტა ის „რომანტიკული ბურუსი“ და „ყოვლისმომცველი მსოფლიო სევდა“, რომელშიც ჩაძირული იყო მთელი ევროპა. რადგან ბოდლერს, როგორც სხვას არავის, შეეძლო უკეთურობაში დაგმანული სიკეთის მარცვალი დაენახა, უკიდურეს სიმახინჯეში სილამაზის განცდას დაუფლებოდა, მძაფრ ლალატში ერთგულება შეეცნო. შეგრძნებათა ამ ორზროვნებას კი ყველაზე უკეთ გველის სახისმეტყველება ითავისებს. გველის ფენომენი ბოდლერთან ამგვარია: გველი თანაცხოვრობს მის 15 ლექსში – არაერთგვაროვანი სახით; იქნება ეს ზიზღი, რისხვა, ტანჯვა, ბოროტება, შიში, სიმტკიცე, გარდასახვა თუ დიდი ვნება... მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი გველი მაინც „ვირტუოზი მოცეკვავის“ როლშია. და ამიტომაცაა, რომ „გრძნობის მისტიკაში“ ჩაძირული პოეტისათვის საყვარელი ქალის წამლეკავი გზნება „ჯოხის ბოლოსთან მოკავი გველის სადარია“. *„რადგან ბოდლერისათვის სამყაროს შეცნობა „მოჯადოებულ სარკეს“ როდი წარმოადგენს მარტოოდენ, სადაც ერთსახოვნად მხოლოდ სილამაზე იკვეთება – მისი საპირწონე სიმახინჯისა თუ ტანჯვის გარეშე. ასევე მისი თვალსაწიერით, მამაკაცური სრულყოფილების სიმბოლოა სატანის მილტონისეული პორტრეტი, რაც უფრო მეტად ამძაფრებს აპოკალიფსურ აქცენტებს და აღრმავებს ბოდლერის უჩვეულო ემოციებს“* (Иванов, Калюжная, 2009, стр. 207). როგორც გველია „კაცობრიობის ისტორიის პირველი მემატინე“, ასევეა დიდი გრძნობაც, რომელიც წუთიერი ემოციით – ზესწრაფვასაც გაგაცდევინებს, მიწაზეც დაგანარცხებს და შენი „პირადი ისტორიის მთხზველიც“ კი შეიქმნება. მით უფრო თუ – „გრძნობის გასაღები“ საბედისწერო ქალის ხელში აღმოჩნდება.

სწორედ ამგვარი იყო ჟანა დიუვალი¹ – „შავი ვენერა“, როგორც მას ბოდლერი უწოდებდა. იგივე „მოცეკვავე გველი“ – ყოვლად უჩვეულო იმპულსთა მფრქვეველი, რომელიც ბოლომდე არც ერთ მამაკაცს არ ეკუთვნოდა და მხოლოდ თავად განკარგავდა „გრძნობის სტიქიას“... იდუმალების შეუცნობლობა და იმავდროულად სრულიად ბანალური მიწიერება – ეს არაორდინალური ტანდემი, როგორც მა-

¹ თავის თანამედროვეთა შორის – ჟანა დიუვალი ფრიად შთამბეჭდავ ქალად ითვლებოდა და არა მარტო „პოეტური ილუსტრაცია“ არსებობს მისი, არამედ მანეს მიერ შესრულებული პორტრეტიც – „ბოდლერის ქალბატონი“ (1862 წ.). ასევე რამდენიმე ჩანახატიცაა ჟანა დიუვალის, რომლის ავტორად ბოდლერს მიიჩნევენ, თუმცა ეს ბოლომდე არაა დადასტურებული.

გიპნოზირებელი ძალა ისე ძირავდა ბოდლერს. და ეგებ ამიტომაც, სულსაწიერის სიმბოლო – ყვავილები ბოროტებასთან დააწყვილა, როგორც სიცოცხლის ყოვლისწამლეკავი ნების საბედისწერო უკუქცევა.

არადა, „ყვავილი – ბუნების ლაკონური სიმბოლოა – მისი სრულყოფილების, მისი მარადიული წრებრუნვის – დაბადების, სიცოცხლის, სიკვდილისა და კვლავ აღორძინების განმასახიერებელი... თითოეულ ყვავილს, როგორც წესი, თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს, განპირობებული ამ ყვავილის არსით, მისი ფორმითა და ფერით. მაგრამ ცხადია, რომ არის ყვავილთა სიმბოლიკაში რაღაც საერთოც, რისი განზოგადებაც ორიოდ სიტყვით შეიძლება: ყვავილი განასახიერებს სილამაზეს, სრულყოფას, სიკეთეს – ის ვისაც ხელში ყვავილი უჭირავს ბოროტებას არ ჩაიდენს; ამავე დროს, სილამაზისა და გაზაფხულის ეს სიმბოლო წუთისოფლის წარმავლობაზეც მეტყველებს“ (აბზიანიძე, ელაშვილი, 2012, გვ. 107).

რაც შეეხება ბოდლერს – ბუნების ამ ესთეტიკური ფენომენის იმგვარ უჩვეულო ინტერპრეტციას მიმართა (პოეტური კრებულის სახელდებისას – „ბოროტების ყვავილები“), რომ საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა თუ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

„ნაპოლეონ III მიერ ის აღქმული იყო, როგორც ერთგვარი სილის გაწვნა ინტელექტუალური საზოგადოების მიმართ. სწორედ ამიტომაც აიკრძალა ეს ეპატაჟური კრებული და ბოდლერის წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე გამოიტანეს განაჩენი – ეს იყო ფულადი ჯარიმა 3000 ფრანკის ოდენობით, რისი გადახდაც სრულიად წარმოუდგენელი იყო ავტორისათვის. ერთადერთი ვინც დიდი აღფრთოვანება გამოიჩინა, იყო ვიქტორ ჰიუგო, რომელმაც ერთგვარი დაფნის გვირგვინიც კი დაადგა ამ უჩვეულო შემოქმედს...“ (Иванов, Калюжная, 2009, стр. 220).

ბოდლერისათვის სამყაროს შეცნობა პოზიტიური საწყისის ნეგატიურ ფენომენტთან ურთიერთგამომრიცხავ ბმაშია თითქმის ყოველთვის დაგმანული. ამ მისტიკურ თავსატეხში გველზე არანაკლებად მაპროვოცირებელია ცეკვაც, რომელიც

„საყოველთაო რწმენით მაგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა ყოველი როკვა ეს არის გარდასახვათა პანტომიმა, რომელმაც მოცეკვავე ზეარსებად უნდა გადააქციოს... თითოეული მოძრაობა, ჟესტი, სიმბოლური მნიშვნელობისაა და ხშირად მხოლოდ განდობილთათვისაა გასაგები. ცეკვა ცასა და მიწას აკავშირებდა, სამყაროს ჰარმონიას გამოხატავდა... პირველყოფილ მოცეკვავეებს, რომელნიც თავის როკვას კოსმიური ენერჯიის გამოხატულებად აღიქვამდნენ, სჯეროდათ, რომ მათი ცეკვის რიტმი, მათი უსასრულო ფერხული ბუნების ძალთა ერთგვარი კამერტონი იქნებოდა... ცეკვის მაგიურ ასპექტში ასევე ძალზედ ძლიერ იყო ასტრალური სიმბოლიკა“ (აზიანიძე, ელაშვილი, 2012, გვ. 119).

„მოცეკვავე გველი“ ითავისებს მთელ სიმბოლოლოგიურ სპექტრს და სწორედ ამგვარი სახისმეტყველებით ალუზიას ბადებს ბოდლერთან, რომელიც მძაფრი რიტმული მოძრაობით ისწრაფვის აღიდგინოს დაკარგული „ღვთაებრივი ენერჯია“ და გაუნაპირდეს საკუთარ საბედისწერო ბიოგრაფიას.

მაგრამ მოხდა ისე, რომ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, გველი თავის მისტიკურ „როკვას“ კვლავ დაუბრუნდა, მაგრამ ამჯერად – უკვე სხვა ავტორთან, ანა კალანდაძესთან. ოღონდ, ამ პოეტურ შედეგურში გველმა აბსოლუტურად განსხვავებული მხატვრული დიაპაზონი შექმნა და შეუცნობლობის ბურუსში მოაქცია ლექსი – „ლოცულობს გველი“. ამ ლიტერატურულ ველში გველის ბიბლიური თუ სიმბოლური ბიოგრაფიის საოცარი ინტერპრეტაციაა, რომელიც თავდაპირველი ვერსიით (1946 წ.) არ იყო სახელდებული. ეგებ იმიტომ, რომ გველის საკრალიზების (პოეტური საკრალიზების გამორჩეული ნიმუშია აგრეთვე – მარგარეტ ეტვუდის „ფსალმუნი გველს“) სითამამე, იმ პერიოდისათვის, ყოვლად დაუშვებელი იყო და დასათაურების ფენომენი დროსა თუ თავად მკითხველს მიანდო ანა კალანდაძემ. მხოლოდ მოგვიანებით, უკვე 2004 წლის გამოცემაში, შეიძინა თუ დაიბრუნა ამ ლექსმა თავისი სახისმეტყველებითი სახელდება – „ლოცულობს გველი“¹ და დაძლია „უსათაურობის ბედისწერა“, რომელიც მეხსი-

¹ „ლოცულობს გველის“ ანალიზი – მ. ჯალიაშვილი, სიცოცხლის საიდუმლო, წიგნში: „სიცოცხლის საიდუმლო“, 2006, გვ. 80-83.

ერების იმ გაუსაძლის ტკივილთან გვაბრუნებს, რაც „ცენზურის დიქტატის“ ეპოქაში ხდებოდა.

„ამიტომაც იყო, რომ „ადგილობრივი იდეოლოგები“ დროულად დაირაზმნენ „ცენტრის“ დირექტივების შესასრულებლად. ერთი ადრესატი ნამდვილად არ შეშლიათ: თავისი გამოწრთობილი ყნოსვით მათ მშვენივრად იგრძნეს ის მეტაფიზიკური სული, რომლითაც გაჟღენთილია ანა კალანდაძის პოეზია, იგრძნეს მისი სიღრმისეული (და, ამდენად – ჭეშმარიტი) რელიგიოზურობა, ხოლო მის ბიბლიურ თუ ისტორიულ რელიეზში, მის არქაულ ქართულში – დაინახეს თავისებური გამოწვევა, არმიღება იმ ეთიკურად, ესთეტიკურად თუ ენობრივად დაკნინებული სინამდვილისა, რომლის სულისამდგმელნიც და მეხოტბენიც თავად იყვნენ... დიდი პოეზია არ არსებობს ტრაგიკული განცდის გარეშე. ზოგჯერ, განაჩენია, რომელიც ფატალურ მსოფლშეგრძნებასთან ერთად ცხოვრების შესატყვისს წესსაც განაპირობებს... კლასიკური ინტრავერტებთან – ტრაგიკულის განცდა – გამუდმებული რეფლექსიის შედეგია: ისტორიულ ტკივილთა გათავისებისას მათთან ზოგჯერ სიმძაფრე ახლავს, როგორითაც ჩვეულებრივი ადამიანი (არაპოეტი) მხოლოდ თავის დრამებს განიცდის ხოლმე. ანას პოეზიაზე ლაპარაკის დროს, ეს გარემოებაც გასათავლისწინებელია! სწორედ ამ სულიერ ბიოგრაფიაზე, ამ გამუდმებულ რეფლექსიაზე მოგვითხრობს ანა კალანდაძის ის ლირიკული დღიური, რომელსაც, როგორც ავტორი ამბობს, არაფრით არ ანდობდა გარეშე თვალს... და ამიტომაც ანა კალანდაძემ შეძლო ის პოეტური ენა, პოეტური პირობითობის ის ფორმა გამოეძებნა, რომელმაც მას გაუადვილა „ხვაშიადის საჯარო გამხელაც“ (აბზიანიძე, 2009, გვ. 394).

ამგვარი სულიერი მონოლოგის იშვიათი ნიმუშია გველის „პოეტური როკვა“ და ამ ლექსის „მხატვრული ბიოგრაფიაც“. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ დასათაურებით შეიქმნა დამოუკიდებელი სიმბოლური ბმული, სადაც გველის რიტუალურ როკვაში სავსებით ბუნებრივად გამოიკვეთა ამ ზოომორფული სიმბოლოს „საკაცობრიო ტვირთი“ და ის კვლავ ათასწლეულების წინ დაკარგულ ბიბლიურ ვერტიკალთან დააბრუნა; რამეთუ მისი „დაწინწკლული ტანი ცხო-

ველმყოფელობით შეივსო“, „თვალეზში სევდა ჩაუდგა“, რამაც დაბრმავებული „გონების თვალი“ აუხილა. ეს კი ზესწრაფვის ოდენ წამიერი გაელვება იყო, რომელმაც ამ ლექსის წიაღიდან აღმოაცენა „ლოცვის წარმოსახვა“...

და კიდევ ერთი – სწორედ „სახისმეტყველებითი განკითხვისას“ იკვეთება მხატვრულ აზროვნებაში დაგმანული სრულიად უნივერსალური პოეტური დიაპაზონი, რომლის წყალობითაც ავტორთა შემოქმედებითი ბედისწერაც სხვაგვარად შეიცნობა.

ისე კი ცნობისთვის: ზოომორფულ სიმბოლოთა მხატვრული დიაპაზონი ლიტერატურულ ნაწარმოებს არა მარტო მითოლოგიურ ელფერს სძენს, არამედ ეზოთერიკულ ასპექტსაც ანიჭებს. მით უფრო თუ ეს, ერთ-ერთი ყველაზე მრავალსახოვანი და მისტიკური სიმბოლოთაგანი, გველია. სწორედ ამ ზოომორფულ სიმბოლოს შესწევს უნივერსალური უნარი არათუ ჩვეულებრივი წრის გამოსახვის, არამედ ის ერთგვარ სახისმეტყველებით წრეში მოაქცევს ორ სრულიად განსხვავებულ ეპოქას – XIX და XX საუკუნეებს და ასევე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ფრანგულ და ქართულ მხატვრულ აზროვნებას.

გველის ეს შეუცნობელი უნიკალურობა კი მის „ბიბლიურ ბიოგრაფიაშია“ საძიებელი. რადგან სწორედ მან შექმნა ჩვენი „საკაცობრიო ისტორია“ და ამიტომაც „ადამიანთა მოდგმის მემატიანედაც“ კი იქცა. ნიშანდობლივია ისიც, რომ გველია ის რჩეული ზოომორფული სიმბოლო, რომელსაც ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე იდუმალი ლაბირინთის გასაღები უპყვრია, სადაც თავისდა უნებურად ადამიანი გამომამწყვდევს ხოლმე საკუთარ თავს. აქედან სულის ხსნა, რაც თავის გადარჩენის უცილობელი პირობაა, მხოლოდ შემოქმედებით სულს შეუძლია, რომელსაც შესწევს უნარი ჩაიძიროს გველის მისტიკურ ორ-აზროვნობაში და არ დაფრთხეს. უფრო მეტიც – გრძნობის არაორდინალური საწყისიც მას მიანდოს, როგორც ამას ჩადის შარლ ბოდლერი და სიყვარულის ყოვლადწამლეკავ უსასრულობაში იმგვარად იძირება და იზინდება, როგორც გველისაგან ელდანაცემი, მაგრამ არადაგესლილი ადამიანი.

სწორედ ამიტომაც „გველის როკვა“ ეზოთერიკული ფესვებიდან აღმოცენებული არაორდინალური აღფრთოვანება თუ წარმოსახვათა ტალღებს მიღმა გაუჩინარებული გზნება, რომელიც ეროტიკულ იმპულსთა ელვისებური გაელვების ეფექტს წარმოშობს. გველთან მიმართების ამ ასოციაციურ ჯაჭვს კიდევ უფრო შეუცნობლობის ბურუსში ახვევს ლოცვის ფენომენი – მით უფრო, როდესაც გველს უჩნ-

დება ლოცვის სურვილი, რითაც განაგდებს „შემოგრაგნილ ბოროტებას“ – კანის ცვლის მსგავსად. გულმხურვალე ლოცვას კი სულსაწიერის საცალფეხო ბილიკზე გაჰყავს არა მარტო თავად გველი – „კაცობრიობის უპატიებელი მტერი“, არამედ ადამიანიც – მისი მსხვერპლი. მხოლოდ „მლოცავ გველს“ ძალუმს, რომ კაცობრიობამ არათუ სული მოითქვას – სულის ხსნაზეც იფიქროს. სიტყვის მაგიაში ჩაკარგულმა გველმა თავდაპირველად უსათაურობით გადაირჩინა თავი და მხოლოდ ახალი ათასწლეულის მეშვეობით „ლიტერატურულ ავანსცენაზე“ ეს „საკრალური როლი“ მოირგო. რადგან მან ორაზროვნების წყალობით ცოდვის მთელი სიმძიმე, ადამიანთა მოდგმისაგან განსხვავებით, სრულიად გაითავისა და გულწრფელი ლოცვით მთელი სათნოება შეიცნო ისეთი სათუთი პოეტი ქალის სახით, როგორიც იყო ანა კალანდაძე.

ერთი კია, მხოლოდ გველმა, ამ უნივერსალურმა ზომომორფულმა სიმბოლომ, შეძლო, რომ წარმოსახვის ესთეტიკა და ასოციაციის მაგია ისე შეესიტყვებინა ერთმანეთთან, რომ შეექმნა ახალი სახის-მეტყველებითი ბმული – სრულიად არაორდინალური აქცენტებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბზიანიძე, ზ. (2009). *ლიტერატურული პორტრეტები*. თბილისი: „ბაკმი“, ISBN 1987-7803
- აბზიანიძე, ზ., ელაშვილი ქ. (2011). *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, I*. თბილისი: „ბაკმი“, ISBN 978-9940-27-99-6
- აბზიანიძე, ზ., ელაშვილი ქ. (2012). *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, II*. თბილისი: „ბაკმი“, ISBN 978-9941-226-27-8
- ბოდლერი, შ. (2008). *ბოროტების ყვავილები. [Flowers of Evil]*. ფრანგულიდან თარგმნა დ. აკრიანმა, თბილისი: „ცისკარა“, ISBN 1186
- ელაშვილი, ქ. (2014). *ერთი მითოსური თავსატეხი, წიგნში: ესეისტური სახისმეტყველება*. თბილისი: „სვეტი+“, ISBN 978-9941-9367-5-3
- კალანდაძე ა. (2004). *ანა*. თბილისი: „დედაენა“, ISBN 99940-0-167-1
- ჯალიაშვილი, მ. (2006). *სიცოცხლის საიდუმლო, წიგნში: სიცოცხლის საიდუმლო*. თბილისი: „წყაროსთვალი“, mISBN 99940-899-0-0
- Auerbach, Erich (trad. Robert Kahn) (2008). *Les Fleurs du Mal de Baudelaire et le sublime, Poésie, vol. 124, n°2*, https://www.cairn.info/revue_poesie-2008-2-page-60.thm.
- Hirt, Jan-Michel (2005). *L'Amour décomposé, Topique, n°9, premier paragrahe*. <https://www.cairn.info/revue-topique-2005-2-page-55.thm>.

Иванов, Г. Калюжная, Л. (2009). *Сто великих писателей*. Москва: „ВЕЧЕ“, ISBN 978-9533-4353-5

References:

- Abzianidze, Z. (2009). *Lit'erat'uruli p'ort'ret'ebi* [Literary portraits]. Tbilisi: Bak'mi. ISBN 1987-7803
- Abzianidze, Z., & Elashvili, K. (2011). *Simbolota ilust'rirebuli entsik'lop'edia, I* [The illustrated encyclopedia of symbols. Part I]. Tbilisi: Bak'mi. ISBN 978-9940-27-99-6
- Abzianidze, Z., & Elashvili, K. (2012). *Simbolota ilust'rirebuli entsik'lop'edia, II* [The illustrated encyclopedia of symbols. Part II]. Tbilisi: Bak'mi. ISBN 978-9941-226-27-8
- Auerbach, E. (2008). *Les Fleurs du Mal de Baudelaire et le sublime. Poésie, 124(2)*. Retrieved from <https://www.cairn.info/revue-poesie-2008-2-page-60.thm>
- Bodleri, Sh. (2008). *Borot'ebis q'vavilebi* [Flowers of evil] (D. Akrianma, Trans.). Tbilisi: Tiskara. ISBN 1186
- Elashvili, K. (2014). *Erti mitosuri tavsatekhi. Ts'ignshi: eseist'uri sakhismetq'veleba* [Essayistic portraits]. Tbilisi: Svet'i. ISBN 978-9941-9367-5-3
- Hirt, J.-M. (2005). *L'Amour décomposé. Topique, 9(1)*. Retrieved from <https://www.cairn.info/revue-topique-2005-2-page-55.thm>
- Ivanov, G., & Kalyuzhnaya, L. (2009). *Sto velikikh pisateley* [Hundred great writers]. Moskva: VECHЕ.
- Jaliashvili, M. (2006). *Sitsotskhlis saidumlo. Tsignshi: sitsotskhlis saidumlo* [Secret of life]. Tbilisi: Tsqarostvali. ISBN 99940-899-0-0
- K'alandadze, A. (2004). *Ana*. [ANA (poetry)]. Tbilisi: Dedaena. ISBN 99940-0-167-1